საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
ა კ ა დ ე მ ი ა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,, 16 ’’ იანვარი 2013 წ. თბილისი №16

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ტესტირების ან/და გასაუბრების
ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის N987 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულების დამტკიცების თაობაზე’’ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 20 ივლისის №1007 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. თანდართული სახით დამტკიცდეს ,,სსიპ – საქართველოს შსს აკადემიაში ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარების წესი’’.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ტესტირებისა და გასაუბრების წესის დამტკიცების შესახებ’’ სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2012 წლის 12 მარტის N 170 ბრძანება.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ნუკრი გელაშვილი*

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შსს აკადემიაში ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარების წესი.

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში (შემდგომში – აკადემია) ტესტირების ან/და გასაუბრების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს აკადემიაში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად კანდიდატთა ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ტესტირებისა და გასაუბრების მიზნები

2.1 ტესტირებისა და გასაუბრების მიზნებია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) მისაღები პირებისათვის სპეციალური პროფესიული პროგრამის გასავლელად კანდიდატის შერჩევა.
2.2. ტესტირების მიზანია, კანდიდატის ინტელექტის და ზოგადი უნარების შემოწმება.
2.3. გასაუბრების მიზანია, კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და მომავალი პროფესიული საქმიანობისას განსახორციელებელ ფუნქციებთან მისი შესაბამისობის დადგენა.

მუხლი 3. ტესტირების და გასაუბრების ორგანიზება

3.1 სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებიდან კანდიდატების სიების მიღების შემდეგ აკადემია ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა აკადემიის ვებ-გვერდზე (www.policeacademy.ge) განათავსებს ინფორმაციას ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარების თარიღის შესახებ.
3.2 გასაუბრება ტარდება ტესტირების საბოლოო შედეგის გამოქვეყნებიდან არაუადრეს 3 დღის ვადაში.
3.3 განსაკუთრებულლი შემთხვევების არსებობისას, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ტესტირება და გასაუბრება ჩატარდეს ერთიდაიგივე დღეს.
3.4 კანდიდატის ტესტირებაზე ან გასაუბრებაზე არგამოცხადების შემთხევაში იგი შერჩევის პროცედურის გავლას იწყებს პირველი ეტაპიდან.
3.5 ტესტირებისა ან გასაუბრების მსვლელობისას, შესარჩევ კანდიდატზე ვრცელდება აკადემიის შინაგანაწესით დადგენილი გამოცდაზე ქცევის წესები.

მუხლი 4. ტესტირებისა და გასაუბრების კომისია

4.1 აკადემიის რექტორი, სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოსთან და სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან შეთანხმებით, წინასწარ, ერთობლივად შერჩეულ პირთა წრიდან, ამტკიცებს კომისიას.
4.2 მეხანძრე-მაშველთა მომზადების სპეციალურ პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატთა ტესტირებას ან/და გასაუბრებას ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობას სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს აკადემიის რექტორი.

მუხლი 5. ტესტირება

5.1 ტესტირება ტარდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
5.2 ტესტი შედგება 130 კითხვისაგან (ამოცანისაგან), ამათგან - ზოგადი უნარები 50 კითხვა, ზოგადი ცოდნა 14 კითხვა და ინტელექტის შესამოწმებელი 66 კითხვა.
5.3 აკადემიაში მისაღებ კანდიდატთა ტესტირებისათვის კითხვებს შეიმუშავებს/შეარჩევს აკადემიის პროფესიული მომზადების სამართველო და ათანხმებს რექტორთან.
5.4 ზოგადი უნარებისა და ცოდნის დონის შესამოწმებელ კითხვებზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით.
5.5 ინტელექტის შესამოწმებელად გამოყენებული იქნება შესაბამისი სამიზნე ჯგუფისათვის შემუშავებული კითხვარი, რომლის მაქსიმალური ქულაა 156.
5.6 კანდიდატის მაქსიმალური ქულა მოიცავს ტესტირების სამი კომპონენტის ჯამს, რომელიც შეადგენს 220 ქულას. მსმენელს ტესტირება გავლილად ეთვლება თუ იგი ჯამურად დააგროვებს მინიმუმ 130 ქულას.
5.7 ტესტირება გრძელდება 2 საათისა და 30 წუთის განმავლობაში. დროის ამოწურვის შესახებ მეთვალყურე სამჯერ აცნობებს კანდიდატებს, პირველად დასრულებამდე 1 საათით ადრე, მეორეჯერ დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე, ხოლო მესამეჯერ 15 წუთით ადრე.
5.8 ტესტირების შედეგებზე აკადემია აფორმებს შესაბამის ოქმს.
5.9 ტესტირების შედეგების შესახებ ინფორმაცია განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე, საბოლოო შედეგების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

მუხლი 6. გასაუბრება

6.1 გასაუბრებაზე კანდიდატი დაიშვება თუ მან წარმატებით გაიარა ტესტირება.
6.2 კომისია იღებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი სამინისტროს სისტემაში საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელ შემდეგ კრიტერიუმებს:

- კომუნიკაბელურობა;
- ლოგიკური მსჯელობის და აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი;
- ზოგადი პიროვნული მახასიათებლები/ემოციური მდგრადობა;
- საკუთარ თავში დარწმუნებულობა და თვითშეფასება;
- სიტუაციის შეფასებისა და ანალიზის უნარი;
- მოტივაცია;
- პასუხისმგებლობის გრძნობა.

6.3 გასაუბრების შედეგებზე კომისია აფორმებს შესაბამის ოქმს.
6.4 გასაუბრების შედეგების შესახებ ინფორმაცია განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე, საბოლოო შედეგების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

მუხლი 7. საჩივრის განხილვის წესი

7.1 კანდიდატი შერჩევის ეტაპ(ებ)ის შედეგ(ებ)ის გამოქვეყნებიდან, პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, რექტორის სახელზე წერს დასაბუთებულ განცხადებას (საჩივარს).
7.2 ტესტირების ან გასაუბრების შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ განიხილება.
7.3 ტესტირების გასაჩივრების შემთხვევაში, გასაჩივრებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში განიხილავს აკადემიის რექტორი ან მის მიერ განსაზღრული უფლებამოსილი პირი და იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების, არდაკმაყოფილების ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.
7.4 გასაუბრების გასაჩივრების შემთხვევაში, შემოსული საჩივრის განხილვას რექტორი ავალებს კომისიის სხვა შემადგენლობას.

7.5 საჩივრის განმხილველი კომისიის დასკვნის საფუძველზე რექტორი იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ.
7.6 კანდიდატის პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში ის აგრძელებს შერჩევის ეტაპების გავლას.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

8.1 აკადემია უზრუნველყოფს სამინისტროს ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში ელექტრონული ფორმით ტესტირების და გასაუბრების შესახებ ინფორმაციის ასახვას.
8.2 წესი დაეგზავნება სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტოიულ ორგანოებს. ასევე განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
ა კ ა დ ე მ ი ა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„25" სექტემბერი 2014 წ. თბილისი № 571

„სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2013 წლის 16 იანვრის N 16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის N975 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2013 წლის 16 იანვრის N 16 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 5.6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.6 კანდიდატის მაქსიმალური ქულა მოიცავს ტესტირების სამი კომპონენტის ჯამს, რომელიც შეადგენს 220 ქულას. კანდიდატს ტესტირება გავლილად ეთვლება თუ იგი ჯამურად დააგროვებს მინიმუმ 130 ქულას, ხოლო საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატს ტესტირება გავლილად ეთვლება, თუ იგი ჯამურად დააგროვებს მინიმუმ 110 ქულას.".

2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ნუკრი გელაშვილი*